სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

06 მარტი, 2026 წელი

ბრძანება № 01-02/44

ბსუ-ს მოკლევადიან ტრენინგ-მოდულზე
„აღმზრდელ-პედაგოგთა პროფესიული განვითარება“
მსმენელთა მიღების გამოცხადების შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22–ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, ,,აღმზრდელ-პედაგოგთა პროფესიული განვითარების ტრენინგ-მოდულის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 30 ივნისის №68/ნ ბრძანების, „ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დებულების დამტკიცების თაობაზე" ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2024 წლის 24 ოქტომბრის №07-01/59 გადაწყვეტილების, ,,ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის უწყვეტი განათლების მიმართულების კოორდინატორების დანიშვნისა და საკოორდინაციო საბჭოს შემადგენლობის შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2024 წლის 18 ნოემბრის №01-02/193 ბრძანების, ბსუ-ს ,,პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის" სკოლამდელი აღზრდის მიმართულების მოკლევადიანი საგანმანათლებლო პროგრამის - „აღმზრდელ-პედაგოგთა პროფესიული განვითარება" დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2021 წლის 01 ივლისის №01-02/101 ბრძანების, „ბსუ-ს მოკლევადიანი პროგრამის „აღმზრდელ-პედაგოგთა პროფესიული განვითარება" სწავლის საფასურის, პერსონალის შრომის ანაზღაურების ოდენობისა და ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის **2024 წლის 26 იანვრის №01-10/05 ბრძანების,** ,,ბსუ-ს მოკლევადიანი პროგრამის მსმენელთან გასაფორმებელი ხელშეკრულების ფორმის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2026 წლის 20 თებერვლის **№01-02/34 ბრძანების,** ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის მასწავლებელთა გადამზადებისა და სკოლამდელი აღზრდის მიმართულების კოორდინატორის, ასოცირებულ პროფესორ თემურ ავალიანის 2026 წლის 25 თებერვლის №222276 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გამოცხადდეს მსმენელთა მიღება ბსუ-ს მოკლევადიან ტრენინგ-მოდულზე **„აღმზრდელ-პედაგოგთა პროფესიული განვითარება“** (საკონტაქტო (სააუდიტორიო მეცადინეობის) 66 საათი; სწავლების ფორმატი - პირისპირ/ონლაინ, ბსუ-ს სარგებლობაში არსებულ ფართში; ჯგუფში მსმენელთა რაოდენობა: **პირისპირ** ფორმატის შემთხვევაში -10-25/**ონლაინ** ფორმატის შემთხვევაში - **20**; ერთი მსმენელის სწავლის საფასური: პირისპირ ფორმატის შემთხვევაში - **300 ლარი**/ონლაინ ფორმატის შემთხვევაში **- 350 ლარი** (სწავლის საფასური, პერსონალის შრომის ანაზღაურების ოდენობა და ხარჯთაღრიცხვა - ადმინისტრაციის ხელმძღვანელის **№**01-10/05, 26.01.2024 წ. ბრძანების დანართების შესაბამისად).
2. ტრენინგ-კურსის გავლის მსურველმა **რეგისტრაციის მიზნით უნდა წარმოადგინოს სააპლიკაციო განცხადება** (შევსებული ამ ბრძანების **№1 დანართის** შესაბამისად). აპლიკანტი უფლებამოსილია შესავსები განაცხადის ფორმა ჩამოტვირთოს ბსუ-ს ვებგვერდიდან, შეავსოს და წარმოადგინოს (გამოაგზავნოს) ელექტრონულად, ელექტრონულ მისამართზე: info@bsu.edu.ge ან წარმოადგინოს მატერიალური სახით,

ბსუ-ს საქმისწარმოების სამსახურში (კანცელარია), შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმი, ნინოშვილის ქ. №35, ბსუ-ს №1 კორპუსი, 1-ელი სართული, ოთახი №1.

3. ტრენინგ-კურსის გავლის **მსურველის სააპლიკაციო განცხადებას თან უნდა დაერთოს:**
   ა) აპლიკანტის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
   ბ) სწავლის საფასურის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის ასლი (სწავლის საფასურის გადახდა იწარმოებს შემდეგ რეკვიზიტებზე: მიმღების ბანკი - **სახელმწიფო ხაზინა;** მიმღების დასახელება - **ხაზინის ერთიანი ანგარიში;** ბანკის კოდი - TRESGE 22; მიმღების ანგარიში/სახაზინო კოდი - **7 0901 7263** (დანიშნულებაში მიეთითოს „ტრენინგის „აღმზრდელ-პედაგოგთა პროფესიული განვითარება" სწავლის საფასური");
4. ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრმა (ამავე ცენტრის მასწავლებელთა გადამზადებისა და სკოლამდელი აღზრდის მიმართულების კოორდინატორმა) უზრუნველყოს ბსუ-ს ვებგვერდზე და სოციალურ ქსელში ბსუ-ს პროგრამაზე „აღმზრდელ-პედაგოგთა პროფესიული განვითარება" მიღების გამოცხადების შესახებ ინფორმაციის განთავსება (წინამდებარე ბრძანებაზე თანდართული სააპლიკაციო განაცხადის ფორმასთან და მსმენელთან გასაფორმებელი ხელშეკრულების ფორმასთან ერთად), აპლიკანტთა რეგისტრაციის პროცესში მათი მხარდაჭერა, პროგრამის სასწავლო პროცესის ორგანიზება, სწავლის დაწყების თარიღის განსაზღვრა, მსმენელების ინფორმირება, პერსონალის მოწვევისა და სხვა საორგანიზაციო აქტივობების განხორციელება ბსუ-ს რეგულაციებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
5. მსმენელთა ჩარიცხვის მიზნით დარეგისტრირებულ აპლიკანტთან (შემდეგში - მსმენელი) საგანმანათლებლო მომსახურების შესახებ ხელშეკრულება გაფორმდეს აპლიკანტის მიერ ამ ბრძანებით გათვალისწინებული დოკუმენტაციისა და სწავლის საფასურის გადახდის ქვითრის ასლის წარმოდგენის შემდეგ.
6. წინამდებარე ბრძანებით გამოცხადებული მიღების ფარგლებში პროგრამაზე მსმენელთა ჩარიცხვის შესახებ ბსუ-ს რექტორის ბრძანებით განისაზღვროს პროგრამაზე სასწავლო პროცესის დაწყების თარიღი.
7. ბრძანება განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე (ველში - ,,განცხადებები'' და ,,პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრი'', ასევე ,,რექტორის ბრძანებები") და გამოქვეყნდეს ბსუ-ს საქმისწარმოების სამსახურთან (კანცელარია) არსებულ საინფორმაციო დაფაზე.
8. ბრძანება დაეგზავნოს ბსუ-ს რექტორის აპარატს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრს, ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის მასწავლებელთა გადამზადებისა და სკოლამდელი აღზრდის მიმართულების კოორდინატორს (ასოცირებულ პროფესორ თემურ ავალიანს), ფაკულტეტებს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, იურიდიულ დეპარტამენტს, საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია).
9. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
10. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით, ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ. №30).

ბსუ-ს რექტორი ტიტე არაშიძე

„ბსუ-ს მოკლევადიან ტრენინგ-მოდულზე
„აღმზრდელ-პედაგოგთა პროფესიული განვითარება“ მსმენელთა მიღების
გამოცხადების შესახებ“
ბსუ-ს რექტორის 2026 წლის 06 მარტის № 01-02/44 **ბრძანების**

№1 დანართი

ბსუ-ს მოკლევადიან პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველის **სააპლიკაციო განცხადება**	
სახელი და გვარი:	
პირადი ნომერი:	
დაბადების თარიღი:	
მოქალაქეობა:	
ფაქტობრივი მისამართი:	
ტელეფონი:	
ელფოსტა:	

მსურს ჩავირიცხო მსმენელად და გავიარო ბსუ-ს მოკლევადიანი ტრენინგ-მოდული **„აღმზრდელ-პედაგოგთა პროფესიული განვითარება“** (შემდეგში - პროგრამა), შემდეგი ფორმატით:

- პირისპირ
- ონლაინ

(მონიშნეთ შესაბამისი ფორმატი)

ბსუ-ს **რეგულაციების გაცნობის** შესახებ **აპლიკანტის დადასტურება**

აპლიკანტი აცხადებს, რომ წინამდებარე სააპლიკაციო განცხადების წარმოდგენამდე **გაეცნო** ბსუ-ს ეთიკის კოდექსს, **ბსუ-ს შინაგანაწესს** (რომელიც მსმენელთან ხელშეკრულების გაფორმების შემთხვევაში განიხილება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად), **ბსუ-ში პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკას,** ასევე **პროგრამას (რომელზეც სურს ჩარიცხვა),** მსმენელთან გასაფორმებელი ხელშეკრულების ფორმას, რომლებიც სხვა რეგულაციებთან ერთად განთავსებულია ბსუ-ს ოფიციალურ ვებგვერდზე (www.bsu.edu.ge, ველში **„იურიდიული ცნობარი“)**

ვადასტურებ ხელმოწერით: ----------

პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე აპლიკანტის
(შემდეგში - მონაცემთა სუბიექტი) **წერილობითი თანხმობა**

აპლიკანტი (მონაცემთა სუბიექტი) **აცხადებს თანხმობას,** „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის და „ბსუ-ში პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის“ მოთხოვნათა დაცვით დამუშავდეს მისი პერსონალური მონაცემები (სახელი, გვარი, პირადი ნომერი, ელფოსტის მისამართი, ტელეფონის ნომერი, საცხოვრებელი მისამართი, ფოტო, სამუშაო ადგილი და პოზიცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში), საბანკო რეკვიზიტები, ტრენინგის შესახებ ინფორმაცია (რომლის გავლა სურს აპლიკანტს), პროგრამაზე ჩარიცხვის შემთხვევაში - პროგრამაზე სწავლის პროცესში ჩატარებული ტესტირების/შეფასების შედეგები (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ტრენინგზე დასწრების, სერტიფიკატის დამზადებისა და გაცემის შესახებ ინფორმაცია), **ამ განცხადებაში აღნიშნულ პროგრამაზე მსმენელის სტატუსის მოპოვების მიზნებისათვის და პროგრამაზე ჩარიცხვის შემდეგ, პროგრამის სასწავლო პროცესის მიზნებისათვის.**

აპლიკანტი (მონაცემთა სუბიექტი) **ადასტურებს (აცხადებს),** რომ ინფორმირებულია **მისი პერსონალური მონაცემების შენახვის ვადების** თაობაზე, კერძოდ, მისი პერსონალური მონაცემები

დამუშავდება და შეინახება ამ განცხადებაში აღნიშნული მოთხოვნის განხილვა-დამუშავების, მსმენელთან ხელშეკრულების გაფორმების და პროგრამაზე ჩარიცხვის შემთხვევაში მსმენელის სასწავლო პროცესთან დაკავშირებული (საგანმანათლებლო მომსახურება) სამართლებრივი ურთიერთობის პროცესში მონაცემების დამუშავების ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად აუცილებელი დროით, ბსუ-ს სამართლებრივი აქტებით და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ვადით და წესით. აპლიკანტი (მონაცემთა სუბიექტი) **აცხადებს,** რომ **ინფორმირებულია მონაცემთა სუბიექტის უფლებების შესახებ,** რაც მათ შორის გულისხმობს უფლებამოსილებას, მიიღოს ინფორმაცია მის შესახებ ბსუ-ს მიერ დამუშავებულ მონაცემებზე, მოითხოვოს მათი **გასწორება, განახლება, დამატება, დაბლოკვა, წაშლა ან განადგურება,** თუ აღნიშნული მონაცემები არასრულია, არაზუსტია, არ არის განახლებული ან მათი შეგროვება და დამუშავება განხორციელდა ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნათა დარღვევით. **ვადასტურებ ხელმოწერით:** ----------
აპლიკანტის განცხადებაზე თანდართული დოკუმენტები
1. პირადობის მოწმობის (ან პასპორტის) ასლი - (-- ფურცელი) 2. სწავლის საფასურის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის ასლი (სწავლის საფასურის გადახდა შესაძლებელია შემდეგ რეკვიზიტებზე: მიმღების ბანკი - **სახელმწიფო ხაზინა;** მიმღების დასახელება - **ხაზინის ერთიანი ანგარიში;** ბანკის კოდი - **TRESGE 22;** მიმღების ანგარიში/სახაზინო კოდი - **7 0901 7263** (დანიშნულებაში მიეთითოს „ტრენინგის „აღმზრდელ-პედაგოგთა პროფესიული განვითარება" სწავლის საფასური") - (-- ფურცელი) 3. ---------- -------

განცხადების წარმოდგენის თარიღი (რიცხვი, თვე, წელი)	
აპლიკანტის ხელმოწერა:	